17 თებერვალი. 1908 ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური



„ნიშადურზე“ მიიღება ხელის მოწერა:
ერთი წლით გაგზავნით . . . . . 5 მან.
ნახევარი წლით . . . . . 3 „
ცალკე ნომერი . . . . . 10 კპ.

ვინც ერთი წლით „ნიშადურს“ გაიწერავს ყველას უფასოდ გაეგზავნებათ„ ნიშადურის კრებული“ და აგრეთვე ყველა ძველი №№-იც

რედ.-გამ. ვ. გუნია.

№ 27. ყოველკვირეული ჟურნალი № 27.



მშობლის სიყვარული — ემილ ფუქსის ქანდაკი.

გოლგოთა

—

დედავ—მშობელო, სამშობლო მხარევ!
მნახველო მრავალ ტანჯვა და ჭირის,
დღეს კვალად ახვედ გოლგოთაზედა,
კვლავ წილათ გხვდა ჯვარი წამების!
ავჭა, თქრიალებს სისხლი უმანკო,
შავი ღრუბელი თავს დაგტრიალებს,
ბილატე იბანს ხელს უსირცხვილოთ
და იუდა კი სტკბება, ხარხარებს!
მაგრამ ნუ კვნესი... შენის ძუძუدან
სწოვს შენი შვილი შენს დარდს და ნადველს,
იფეთქებს იგი, უზღავს მშობლის სისხლს,
თავს არ დაზოგავს, მტერს შეანანებს.
მაშინ ეგ შენი ტანჯული მკერდი
უვავილ-ვარდებით მოიქარგება,
და გოლგოთაზე შენ შვილთა ხელით
ამაყი დროშა აღიმართება!

ი. ევდოშვილი.

სოციალ-დემოკრატია სოფლად

(შემდეგი)

IV

ბევრს ამ გვარს მაგალითს მოვიყვანდი კიდევ, მაგრამ კმარა ესეც. ადამიანი ერთ ბორბოტ-მოქმედებას ჩაიდენს თუ ორსა, სამსაოთვის სულ ერთია. იმ ადამიანის დასახასიათებლად რიცხვი მის მიერ ჩადენილ ბორბოტ-მოქმედებისა ვედარაფერს მიუმატებს. ასევე ამ შემთხვევაშიც. ზემოთ აღნიშნული რამდენიმე ფაქტი ნათლად მოწმობს, რა გონებისა, რა სულისა და რა ბატიოსნების ხალხი იყო ის ვაჟბატონები, რომლებიც გლეხის მოძრაობას სათავეში უდგნენ და როგორ ექცეოდნენ იმ ხალხს, რომლის გულისთვისაც მათ იარაღი შეისხეს და „მჩაგვრელთა და ექსპლუატატორთა“ წინააღმდეგ გაიღაშქრეს.

ვნახოთ ახლა როგორ იქცეოდნენ ეს „თავისუფლებისთვის მებრძოლი“ პარტიის მიერ განუსაზღვრელ ნდობითა და უფლებით აღჭურვილი აგენტები“ სხვა შემთხვევებშიც. ქალის გაუბატიურება ხომ არ შეადგენს ერთად ერთს ბორბოტმოქმედებას, რომელიც დაწყებულა ბადებიდან სჩვევია ადამიანის ბუნებას! ამას გარდა არის ქურდობა, მკვლელობა, სარჩო საბადებლის გადაწვა, გაძარცვა, ტანჯვა-წვალება და სხვა.

დავიწყოთ პირველიდან: ქურდობდნენ თუ არა ეს „ხალხში სვინიდისისა, სამართლიანობისა და პატიოსნების მქადაგებელნი“ ვაჟბატონები?

ხშირად და ბევრსაც. ქურდობდნენ მოტეუებით, ქურდობდნენ აშკარად. აძარცვავდნენ დამე, დღე, სახლში, გზაზე, ტყეში და უველა ამას სჩადიოდნენ პარტიის სახელით.

გამოვიდოდა ბრძანება: გაწერეთ ხალხს, თითო კომლს ამდენი და ამდენი! რისთვის? იკითხავდა გატეაგებული გლეხი. პარტიისთვის!—უპასუხებდნენ მრისხანე რაზმელები—გამოიტანე ჩქარა, ბევრს ნუ დაბარაკობ!—გლეხსაც გამოჭქონდა უკანასკნელი გროში.

დაეტემოდა სოფელს დამე რამდენიმე შეიარაღებული კაცი და დაიწყებოდა სახლების ხრეკა. რა ამბავია?!—იკითხავდა თავზარ დაცემული გლეხი.—პარტიას იარაღი უნდა, შენ იარაღი გაქვს!—ვინ მოგცა, ბატონო, იარაღი! ერთხელ აკი წაიღეთ!—აი ვნახავთ, თუ არა გაქვს! - უპასუხებდა ეს ახალი ჯურის ბოდიალი და შეუდგებოდა ხრეკას. გადმოაქოთებდა ლოგინს, უუთებს, სკივრებს, განჯინებს, ეოველ კუთხეს და წავიდოდნენ. შეშინებული პატრონი სახლისა კონს დიდხანს ვერ მოდიოდა. საათის, ორი საათის შემდეგ მიადგებდა იქაურობას და ნახავდა, რომ ჩვრებში გამოკრული ფული სკივრში ადარა ძევს, რომ სხვა და სხვა ნივთები აკლია, რომ ჩახა წაიღია და სხვა. ჩადუნავდა გლეხი მწარედ თავს და სხვა გზა რომ არა ჭქონდა, უსიტყვოდ ტრემლებს გადმოაფრქვევდა. ერთად ერთი საშველები: მეზობლთან დარდის გაზიარება, ან თანაგრძნობის მიღება, ამასაც კი [illegible] საბრალო გლეხი! რაგორ გაამხელდა ვისთანმე რასმეს! სახელი „ხულიგანი“ და შემდეგ სიკვდილი არ ასცდებოდა საცოდავს. ეს იყო შაშინ, ახლა კი რომ მიხვიდეთ სოფელში, ხშირად გაიგონებთ ხალხის ჩივილს: ბრალი ჩვენი, თორემ ამა და ამ ბრაბაგანდისტმა დიდძალი ფული ჩაჯიბვა და გადავარდა. ამა და ამ რაზმელმა და გაათხოვა და მზითვად ხუთასი თუმანი ნადი ფული დაუთვალა. იმან ადგილები იყიდა. იმას სულს აჭეთ არაფერი ებადა, დღეს ვაჭრობს. იმან „ეტაყიანი“ სახლები აშენა. იმან... ამ გვარ დაბარაკს სოფლებში დასასრული არა აქვს.

—ერთი წლის განმავლობაში—გაიმბობთ ერთი გლეხი, რომელიც დღემდე შეძლებულად ითვლებოდა, კარგი ოჯახი ჭქონდა, გუთნეული, ხარ-კამეჩი, ათასხუთასი ცხვარი და სხვა. დღეს კი გაღარიბებულ-გაღატაკებულია.—ერთი წლის განმავლობაში **ორასი თუმანი** გადავეცი რაზმელებსა და მქადაგებლებს. ამას რაგორ გავამხელდი? დღესაც არ იციან ჩემმა შვილებმა. მოვიდოდნენ და მეტეოდნენ: ობილისის კომიტეტმა შენ ორ შვილს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა!—რადა ბატონო, რა დაეშავეს?—ხულიგანები არიან! თავისუფლების წინააღმდეგ ულაბარაკნია!—შემომეებოდა გულს. მერე მეტეოდნენ: მოგვეცი ოცი თუმანი, ჩავალთ თბილისში და იქნებ რაგორმე საქმე გავაკეთოთო. რას ვიზამდი? ავიღებდი და მივცემდი ხოლმე. გავიდოდა ერთი თვე და კიდევ მოვიდოდნენ, კიდევ მივცემდი, ამ გვარად „ხალასი“ ორასი თუმანი გადავეცი.—ფიცულობს გლეხი და მეზობლებიც ემოწმებიან.

ერთს გლეხს წელზე ვერცხლის ქამარი არტყია (ქალაქური) რომ ჭკითხოთ: რა მიეცი მაგ ქამარშიო? გიპასუხებთ: ოცი და ერთი თუმანიო და შემდეგ აგიხსნით: ქამარი ამ ხუთი წლის წინათ გოროში ვიყიდე, მივეცი ხუთი თუმანი, ხოლო ჩვიდმეტი თუმანი სხვა და სხვა დროს რაზმელებს გადავეციო. დამეცემოდნენ და წამართმევდნენ, მივუტანდი ორ-სამ თუმანს და დამიბრუნებდნენ, გავიდოდა ხანი, კიდევ წამართმევდნენ კიდევ გამოვისესხებდი, კიდევ წამართმევდნენ და ეს რეაქცია რომ არ დამდგარიყო, სადამდისინ ივლიდა ეს საქმე, ღმერთმა იცის — ახუნჯობს დღეს გაძარცუ ი გლეხი.

ქართლის სოფლებში თაკანსაკნელ ათის წლის განმავლობაში გლეხკაცებ უორის ერთგვარი „მოდა“ შემოვიდა. ახალგაზრდა, ხანდოდ გლეხის ოცნება იყო რაგორმე რამეენიმე თუმანი შეეგროვებინა და ვერცხლის ქამარი ეყიდნა. წელს იწყვეტდა მუშაობაში. არ სწამდა, არ ხვამდა და ვერცხლის ქამრისთვის ფულებს აგროვებდა. საქმე იქამდისინ მივიდა. რომ თუ უმაწვილ ბიჭს ვერცხლის ქამარი არ ერტყა ნელზე, ქალს

არ აძლიეგდნენ. ამიტომ სოფლებში ხშირად შეხვდებოდით ვერცხლის ქამრები. დღეს რომ დაიარეთ სოფლები ერთ ქამარს ვეღარ იპოვნით. ან ძალით გვარიმევდნენ რაზმელები,—ამბობენ გლეხები—ან და ფულს რომ გვიხოვდნენ და არ გვქონდა, რა მიგვეცა, ვაგირავებდით, ან სულ ვეიდდით.

როგორც მოგეხსენებათ, გლეხებს უქადაგებდნენ: შედით ტყეებში, სჩეხეთ, როგორც გინდათ, სოდო მებატონეს არაფერი მისცეთ. გლეხებს გაეხარდათ და შესიენ ტყეებს. საწირო იყო მისთვის თუ არა, ყველა ტყეებისკენ მიეშურებოდა და ეზიდებოდა სახლისკენ აუარებელ ხე-ტყეს. ბირველ ხანებში გლეხს წინ მართლაც რომ არავინ არ უხვდებოდა, მაგრამ მალე გალეშებულმა ბრაბაგანდისტებმა და რიზმელებმა ეს გარეშობებაც შემოსავლის საუკეთესო წყაროთ გაიხადეს. თოფითა და მათრახით ახდევინებდნენ გლეხების ტყეების ბაყს, ბევრით იმაზე მეტს, რასაც წინათ მებატონე ახდევინებდა. გლეხებს ეუბნებოდნენ: ეს ფული ბარტიისთვის იკრიფებაო, მაგრამ სად მიდიოდა ეს აუარებელი ფული, მკითხველი ადვილად მიხვდება. ბორჯომის სეობაში, მაგალითად, მთელი „კანტორა“ ჭქონდათ გამართული და არც ერთ ტიკს, არც ერთ ნალო შუშას, არავითარ ხის მასალას უბალოდ არ უშვებდნენ. ვიმეორებ, ერთი ორად ახდევინებდნენ, ისე რომ ხშირად ჩიოდნენ: ბატონს ან შეეხვეწებოდი და დამიკლებდა, ან ვსთხოვდი, დაეტდია ფულის გადახდა, მაგათ კი არც შებრალება აქვთ და არც სვინიდისი.

მაგრამ „მათი“ უსვინდისობა კიდევ უფრო შორს მიდიოდა. ბევრმა მებატონემ იხსნა ფულით თავისი ტყე განადგურებისაგან. რაზმელს ან ბრაბაგანდისტს, რომელსაც კი მეტი გავლენა ჭქონდა ხალხში, მებატონე ამოუდებდა ხელში 100-200 მანეთს და მის ტყეს ადარავინ გაეკარებოდა. ერთ დღეს ერთმა თავადიშვილმა დაბა ხ-ში რამდენიმე რაზმელი დაჭბატიჟა დუქანში და ცალკე ოთახში გაიმართა სამაგალითო ქეიფი. რაზე ილაპარაკეს იქ „ხალხის მტერმა და ხალხის მეგობრებმა,“ არავინ იცის, ხოდო ქეიფის შემდეგ, გამოვიდნენ კარში მოთრეული რაზმელები, ჩასხდნენ ეტლში და გაემგზავრნენ ბორჯომის ხეობისკენ. რომელ მეურმ საც კი შეხვდებოდნენ გზაში, გაჩერებდნენ და ჭკითხავდნენ: ვის ტყიდან მოგაქვთ ეგ მასალა? ვინც ეტეოდა **იმ თავადიშვილის** სახელს, მეურმეს უმოწყალოდ სტემდნენ და ტყის მასალას არომეევდნენ.—თუ კიდევ გაგიბედნიათ ამა და ამ თავადიშვილის ტყეში შესვლა და ერთი სახრის მოჭრა, ცოცხალს არავის გადაგარჩენთო!—ეუბნებოდნენ გზაზე ყველას. ეს იყო და ეს. მოხერხებული თავადიშვილის ტყეში ფეხი აღარავის დაუდგავს.

ვიმეორებ, ამგვარი ძარცვა-გლეჯა ბარტიის სახელით ხდებოდა. ავაზაკური, ეაჩადური ძარცვა-გლეჯაც ხშირად ხდებოდა სოფლებში. სოფ. მუდ-ში ერთ დღეს გლეხს ალ-შვილს საბძელი და უდელი კაბეგი გაუეიდნა და 300 მან. აელო. ეს გაიგეს წითელმა რაზმელებმა. იმ დამესვე დაეტნენ თავზე და გაძარცვეს. მოკვლა-სა-ჭირო იყო რადგან გლეხი იცნობდა თითო-ორორლას და დაბეზღებისა ეშინოდათ. თოფი ვერ ესროლეს, სოფელი გაიგებსო გამოიყვანეს გლეხი კარში ერთ ხეეში გაადიეგანეს და ჯიბის ბატარა დანით დაჭკლეს.

სოფ. მალ-მი ერთ გლეხს დაეტა ღამით რამდენიმე რაზმელი და 100 მან. წაართვეს. კარში რომ გამოდიოდნენ, სახლის ბატრონის ქალიშვილმა დაუძახა: დაიცადეთ, ხომ გიცნობთ ყველასაო! ეს რომ გაიგონეს, გამოტრიალდნენ, შეცვივდნენ სახლში, მოჭკლეს ის ქალი და ზედ ქმარიც დაჯკლეს. სახლის ბატრონი გაიქცა და იმით თავს უშველა. ერთი ამ მკვლელთაგანი რეაქციის დროს კაზაკებმა შეიპყრეს და გორში რომ მიჭყავდათ, გზაზე მოჭკლეს.

(შემდეგი იქმნება)

ხეობელი.

მეჩანგური

—

ჰხედავთ*), რა მაქვს? სულ თან დამაქვს,
ენატრება ყველასაო;
საკრავია სხვა ნაირი
დელა-დელა-დელასაო.
კედელსა და კედელს შუა
მიკრულია ბნელასაო;
მას უჩემოდ ვერვინ ნახავს!
დელა-დელა-დელასაო.
თუმც კი ყველას ენატრება,
როგორც ხვრელი მელასაო,
მაგრამ ყველა ვერ მიაგნებს
დელა-დელა-დელასაო!
ვაპოვნინებ მხოლოდ მას, ვინც
მომცემს საპოვნელასაო!
იმან უნდა დაამღეროს:
დელა-დალა-დელასაო.
ვინც რომ მაღლა ვერ აუწევს...
ხმას, აუტეხს ხველასაო;
ის როგორღა დაამღერებს:
დელა-დელა-დელასაო.
ვისაც უნდა ნახვა და კვრა
უნდა მთხოვდეს შველასაო;
დამიწყოს და მივაყოლებ:
დელა-დელა-დელასაო.

პეტერბუღ. თებერვალი. **აკაკი.**

(* უჩვენებს ჩანგურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ძუნწი“ მოლიერისა—ვან-ბლასის ნახატი.

დაბადება და სიკვდილი

(1905 წლის სამახსოვროდ)

—

სიბნელეში ჰაერი მეტად შეიხუთა. ყოველი არსების სული ერთად შეიკუმშა.

დედამიწაზედ მოძრაობა მისწყდა. ზეცა მოიცვა შავის ღრუბლებითა.

მოშორებით გაისმა ქუხილი, ელვა, ჭექა, მოჰყვა წვიმა...

გამოიდარა. ცა მოიწმინდა და იშვა მთვარე. დედამიწამ სიამოვნებით ამოისუნთქა და მთვარის სინათლეში გაეხვია...

—

მთვარემ შეგვახედა ოთახში. აქ იწვა ორსული ქალი, რომელიც მოეცვა მშობიარების ტკივილებსა. მახლობელნი თავს დასტრიალებდნენ. მოსამსახურენი ფეხის ფრჩხილებზედ დადიოდნენ და სულ განაბულნი შედეგს ელოდნენ. ქმარი უაზროთ შეჰყურებდა კუთხეში დანთებულ სანთელსა.

მშობიარეს უკანასკნელ ტკივილსა და ყრუ კივილთან ერთად გაისმა სუსტი ხმა დაბადებულისა...

ქალს გადაავიწყდა ტანჯვა-ტკივილები. ახლად დაბადებულის ხმამ სიამოვნებით და უზომო სიყვარულით აღავსო დედის არსება...

მამაკაცმა აღტაცებით დახედა თავის ნაყოფსა. მთლად აიტაცა მომავალის იმედმა—შვილმა—და ამაყად თავი მაღლა აიღო.

ყველას ესიამოვნა მომავალ ნორჩი არსების დაბადება; ხოლო გამოცდილმა ბებიამ-კი, დააცქერდა რა ახლად დაბადებულის ფეხის ფრჩხილებს—თავისთვის ჩუმად წაიბუტბუტა:

— „უნდილია და უდღეო“!..

ს. გლახაშვილი,

გაზაფხული. *)

—

ნელად დაჰბერა, დაჰქროლა
გაზაფხულისა ნიავმა,
ამწვანდა ველი, მინდორი,
ბალახს შეჰღიმა იამა.
ბულბულმა იწყო გალობა,
გულს მისი ხმები იამა.
მცენარეთ წყნარმა წვიმამა
სიცოცხლის ძალა ანამა.
მზისა ნათელი სხივები
ეფინა მინდორ-ტყე-ყანას,
ღვთის მადლი-მაცხოვნებელი
თავს დასტრიალებს ქვეყანას.
იღვიძებს მთელი ბუნება,—
შემოქმედს უძღვნის მადლობას
და ჩემი გულიც ბანს აძღევს
მთელ სამყაროის გალობას.

რაჟდენ ალისუბნელი.

ქ უ ჩ ა

(სომხურიდან.)

პ ა პ ა ზ ი ა ნ ი ს ა.

(გაგრძელება **)

—

— როგორ თითო?

— შაური!—უპასუხა მებულკემ და გაბრუნდა.

— უჰ! წამოიყვირა მამედმა და მსწრაფლ მის სახემ დაჰკარგა მადის სურვილი.

— ეგ ხომ ძვირია! წამოავლო ჩაქუჩს ხელი და წაიბუტბუტა ჩუმის ხმით:

— არ მინდა, წადი, წადი მეთქი!

— რა თქმა უნდა, რომ წავალ, რაღა გაჯავრებს? და გასწია.

— მოიცა, სამ კაპეიკად არ მისცემ? შეეკითხა მებულკეს.

— არა, არ მინდა, დეე წავიდეს!—ჩაილაპარაკა მამედმა და გაჯავრებული შეუდგა ქვის

*) დღეს ჩემ ხელთ არის აწ განსვენებულის რ. ალისუბნელის ნაწერთა უმცირესი ნაწილი. ის ლექსები, რომელიც მის სიცოცხლეშივე არის დასტამბული, ალბომში ჯვრით არის დანიშნული. მხოლოდ ამ ლექსს არ უზის „ეს ჯვარი;“ ამისათვის ვფიქრობ, რომ იგი დღემდე არსად არ დაბეჭდილა და თქვენ გიგზავნით დასასტამბავად. რადგან მისი ნაწერების ერთად გამოცემა ჯერ არ ხერხდება, ვეცდები ამავე მიზნით სხვა დაუბეჭდავი ლექსებიც მოგაწოდოთ.

პეტრე მაჭავარიანი.

**) იხილე „ნიშადური“ №26.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტვრევას.

— ნაკლებ არ შეიძლება! წამოიძახა მიმავალ მა მებულკემ.

შირინაც გაჯავრდა, ფიცხლავ შეუდგა ჩაქუ-ჩის ცემას. ცოტა ხნის შემდეგ მან შეხედა მამედს და მიმავალ მებულკეს მიაძახა:

— მოიტა, წყვილი შვიდ კაპ. მოგვე, მობრუნდი!

აქ მამედს ხმა აღარ ამოუღია. მებულკემ უკვე თვი შეყო ჭის-კარებში და მოეფარა.

— ნეტაი ვიცოდე, ვინა სჭამს მაგნაირ პურსა? სთქვა მამედმა.

— მოხელენი და მდიდრები, სხვა ვინა?—უპა-სუხა შირინამ,—ჩვენისთანა ღარიბებს კი იმის ნე-ბაც არა აქვთ, რომ გემოთ მაინც ნახონ.

— ეგ ერთი ბეწო პური და შაური?—ლულ-ლულებდა მამედი.

რამოდენიმე ხანი უჩუმრად მუშაობდნენ. მერე



ჭაბუკი სამსონი — ბანნას ნახატი.

მამედმა დაარღვია სიჩუმე და შეეკითმა ამხანაგს:

— არა გშიან?

— მოიტა ვჭამოთ!

მათ დაყარეს ხელიდგან ჩაქუჩები. შირინამ გა-შალა ქვებზე წითელი ხელსახოცი და შეუდგნენ ცარიელ პურის ჭამას.

მამედი მადიანად ილუკმებოდა და ხშირად უყურებდა იმ სახლს, სადაც მებულკე შევიდა.

ნეტაი მაცოდინა,—უცებ წამოიძახა მამედმა, —წმინდა ერბოში იქნება მოზელილი ეგ პური?

— ხომ არ გაგიჟდი? გაუკვირდა შირინს,— წმინდა ერბოს ვინ გაურევს პურში? რასაკვირვე-ლია, ქონში იქნება.

ჩამოვარდა სიჩუმე, სიცხემ საშინლად დააჭი-რა. ქუჩაზე შესწყდა მოძრაობა.

— ჩვენს ქვეყანაში არ აცხობენ მაგ ნაირ პურს.—ახლად დაიწყო მამედმა.

— არა, მაგრამ სამაგიერთდ ჩვენში ერმანე-ნაირი სხვა და სხვა გამოცხობა იციან. განა დაგა-ვიწყდა, ბაირამობის დროს დუქნებს რომ აავსებენ ლოხუმით და სხვა ამ გვარ რომანებით?

— ჩვენ, გლეხებმა ხომ მაგის გემო არც კი ვიცით როგორია, მაშასადამე ეგ სულ ქალაქ-მცხოვრებთა საჭმელი იქნება.

შირინა ჯერ ჩუმად იყო, მერე მიუბრუნდა ამხანაგს და შეეკითხა:

თუ ძალიან გინდა, მოდი ერთ ცალი ვიყიდოთ მამედ!

— არა, არა!—მოუჭრა სიტყვა მამედმა—გიჟი უნდა ვიყო, რომ დღეში ცხრა შაურს ძლივს ვი-ღებდე და ერთი ბეწო ნაჭერ პურში შაური ვაძ-ლიო. მერე ჩემ წვრილ ცოლ-შვილს ვინ შეინა-ხავს, ან ვალებს რიღათი გავუსწორდე?

ხელმეორედ ჩამოვარდა სიჩუმე. ამისთანა ჭეშ-მარიტებას წინააღმდეგობა აღარ ესაჭიროებოდა. მათ შეჭამეს რაც პური ჰქონდათ.

შირინამ დაბღერტა ხელსახოცი, დაკეცა, ჩაი-დო უბეში, აიღო ხელში ჩაქუჩი და მიუბრუნდა ამხანაგს:

— აბა და მოვრჩეთ სამუშაოს, ცოტა ღა და-დაგვრჩა.

— კარგი ვაჭრობა კი ექნება იმ კაცს, არა? შენ რას იტყვი შირინ?

— რაღა თქმა უნდა, დღეში რომ ოცი გაყი-დოს თითო შაურად—მანეთს გააკეთებს და ცოტა ფულია?

— კარგი გამორჩენა — სწორე გითხრა,—ეგ იმაზე მეტია, რასაც ჩვენ ორ დღეში ვშოულობთ.

ამ დროს მე დამიძახეს სადილისათვის.

— ბედნიერები არიან მდიდრები,—გაიძახოდა მამედი— ისინი ყოველთვის ამისთანა კარგს პურსა სჭამენ.

— და არც ეგრე ჩვენსავით მზეზე იწვიან-იხ-რაკებიან—და შირინამ ჩამოიწმინდა სახეზე მოწუ-რწურე ოფლი.

მე ავდექი. მიმავალმა ყური მოვკარ მამედის გულიდგან ღრმა ამონაკვნესს სიტყვებს:

— ეხ! ალბად ჩვენი ხვედრი ასეთია: მხოლოდ ვხედავდეთ და იმითი სარგებლობა კი ჩვენთვის შე-უძლებელია!

დ. გამყრელიძე.



ნ ა ნ ა.

უმანკო, ნორჩო, პაწიავ, დაგჩაგრეს გდევნეს, მარაო
დრო მოვა და მტერს მიუზღავ, ნანინა, ნანა,ნანაო!
ბუნებამ შეგქმნა ძლიერი, მშრომელმა ხალხმა გშობაო,
ჩაგრულთა გამოსასხნელად, ნანინა, ნანა, ნანაო!

* * *

მტარვალს შეშურდა ხალხისთვის ეს ბედნიერი ხანაო,
გული აევსო ბრაზითა, ნანინა ნანა, ნანაო.
ბინძურის ხელით უმანკოს გულს დაგაჭირა დანაო,
სურს რომ მოგისპოს სიცოცხლე, ნანინა, ნანა, ნანაო.

* * *

ჯალათმა თავზე დაგადგა ეკლის გვირგვინი განაო,
სისხლი წვეთ-წვეთად ჩამოგდის ნანინა, ნანა, ნანაო.
ის წმინდა სისხლის წვეთები ერთად გროვდება ყველაო,
ბოლმისა ზღვათა გუბდება ნანინა, ნანა, ნანაო.

* * *

აზვირთებული ტანჯვის ზღვა ზღუდესკენ გაექანაო,
რაც წინ მას ღობავს წალეკავს, ნანინა, ნანა, ნანაო.
კიდევ ვითმინოთ, ვუცადოთ... სულ ცოტა ჟამი კმარაო.
რომ მტერს მივუზღოთ საზღავი... ნანინა, ნანა, ნანაო.

იმერელი ქალი.

ნეკრასოვიდან

(თავისუფალი თარგმანი)

—

მძიმე ჯვარი ხვდა იმასა წილათ:
უნდა იჯავროს, იტანჯოს ჩუმად!
ვისაც შესწირა სიცოცხლე მსხვერპლად
ის გარდაექცა მას თვით ჯალათად!!..
დიდი ხანია ის არვის ხვთება!
დაღვრემილია, მხდალი, მწუხარე...
ის თან და თანა ჯავრითა კვდება,
რადგან სიტყვები მას ესმის მწარე!...
„ნუ ამბობ რომ გკლავს შენ ჩემთან დარდი:
გულის წუხილი შენი დაფარე!
შენ ქვეყანაზედ არ გჯობნის ვარდი—
მე კი მომელის ბნელი სამარე!“
„იმ დღეს, რომელსაც მე შემიყვარე,
როდესაც გითხარ: „მე შენ მიყვარხარ!“—
ნულარა სწყევლი—მელის სამარე
და შენდობის გზას უკვე ვადგივარ!..“
„ნუ ამბობ რომ ეს ავადმყოფობა
არის შენი დღის გამწვალებელი!
სიყვარულისა მოგელის თრფობა,—
მე-კი სამარის ცივი სიბნელე!...“
„სხვა შეგიყვარდა და გებრალება,
მარად ლოდინი შენ მეტად გტანჯავს!...
ოხ! დააცადე ბედს ასრულება
იმისი, რასაც ის ჩემგან ფარავს!!..“
გულ საკლავი და ავი სიტყვები
საბრალო ქალმა უნდა ისმინოს!
როგორც ქანდაკი: ნაზი, ლამაზი
ის ვერას ამბობს—უნდა ითმინოს!!..

კონ. ნიკოლაძე.

მ ე ბ რ ძ ო ლ ნ ი

—

ნუ, ნუ შედრკებით, მებრძოლნო,
გავისალკლდოოთ გულია;
ნუ შეგვაშინებს მტრებისა
ხმალ-შუბი მოშხამულია.
დე, ბრძოლამ გვშთანთქოს, მს ველს
დავაკვდეთ მწვანე მკერდზედა,—
ჩვენ იქ ნანინას გვიმღერებს
ბულბული განთიადზედა.
რად გვინდა, რისთვის შევსტრფოდეთ
სიცოცხლეს დამცირებულსა,
რა თავში ვიხლით ქვეყანას
სიმართლით დაობლებულსა?..
უარვყოთ კერძო სიკეთე,
ვაჟკაცს არ შვენის მონება,—
სიმართლეს შესტრფის, შეჰხარის
მისი ამაყი გონება.
წინ წავდგეთ, ნუ შეგვაშინებს,
გზა ეკლიანი, კლდოვანი,—
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი!..“

დ. ელ—შვილი.

...ერიდე სისხლით ზღვევასა!..

—

აღსრულდა... მას შეხვდა წილი... დაფნის გვირგვინი რჩეულს ამკობდა, მას, ძლიერს ხალხი მუხლს უდრეკდა, ნდობას უთვლიდა...

იგი წარსდგა წინ... საშინელი, ზარის დამცემი იყო სახე... ჭექდა და ქუხდა ძლიერი ენა... მის სახეს რაღაც შუქი ღთაებრივი გადაჰფენოდა...

ბრბო მას იწვევდა, იწვევდა იქით, სადაც დღემდის მეფობს უსამართლობა, სადაც მუდამ დღე ხალხის ძალა უნაყოფოდ იღუპებოდა და ხალხის შვილთა, უკეთესს შვილთა სისხლი დიად მიზნის მისაღწევათ იმსხვერპლებოდა,— იქითკენ, სადაც დღემდის ბატონობს ისევ არარაობა .

ბრბო მას იწვევდა. .

ცრემლის ზღვისკენ, სისხლის წითელი მორევისკენ იგზავნებოდა...

ხალხის ბელადიც ფიცსა სდებდა, ირწმუნებოდა რომ იგი მუდამ შურის მძიებელ ღვთაებასავით, იქ იქნებოდა, სადაც ტანჯვითა და ვაებითა დაღუპულ გვამთა ხროვა იდგა... ხალხის ტანჯვათა ზღვის შეშრობას ის ჰპირდებოდა...

და მაღლა ჰქონდა ამართული მას ქართველი ერის დიადი დროშა...

დედამიწაც კი ამ ძლიერ სურათს ბანს აძლევდა და ძიგძიგებდა... მდინარეები ნაპირებზე გადადიოდენ...

ოჰ, კურთხეულო ხალხის ბელადო, მისგან რჩეულო და ძლიერო, დიდ ბუნებოვანო! საგმირო საქმეს ელის ხალხი, მტრის დასათრგუნვათ გიწვევს იგი, დიად ბრძოლისთვის ბგზავნის და შველას მოელის... წინ მედგრად, წინ ბელადო! გზა ბედნიერი! ხომ გესმის? აგერ, ხალხი მღერის და აღტაცებით წინ გეგებება!..

—

შევკრთი... ამ ხალხში ისიც იყო! ჩემი ღვთაებაც!.. ნაზი, ნარნარი, სანეტარო და საყვარელი! ცის ვარსკვლავივით მოკაშკაშე და მოელვარე! მის ფერმკრთალ, ამაყ სახის დასამშვენებლად ქვეყნად ვინ ჰპოვოს შესაფერი ვარდი, ყვაყილი!.. მას შევსცქეროდი, აღტაცებით, თავდავიწყებით... იგი მიყვარდა ჩემი ღმერთი, ჩემი ვარსკვლავი... მის გულის ძგერას შორით ვგრძნობდი...

იგი კი სდუმდა...

მაშინებდა მისი დუმილი...

ხალხის ბელადი მას შეჰყურებდა!

და იგიც იქით, ამ ბელადისკენ იყურებოდა!..

იგიც, ღვთაებაც, ამ ბელადის სიტყვას ისმენდა!..

და მასთან ერთად იმ ქვეყნისკენ წასვლას ლამობდა, რომლის ხილვას მეც წინათ მუდამ ვნატრობდი, მაგრამ დღემდის კი ვერასოდეს ვერ ვღირსებოდი...

სდუმდა იგი!.. გულს მიკლავდა თავის ღიმილით! ვგრძნობდი აშკარათ რომ ის ამ წუთს მეკარგებოდა, რომ ამ ბელადმა წარიტაცა ჩემი ღვთაება, რომ ჩემი გრძნობის ნანგრევებზე—ხალხის რჩეული თავის საკუთარ სიყვარულის ტაძარს აგებდა...

ვნებათა ღელვა მაწამებდა, ვიტანჯებოდა...

პატიოსნება, ხალხის ბედი, ჩვენ სამშობლო...

ჩემი ღვთაება, ნეტარება და სიყვარული...

ხალხის გულისთვის, ხალხის ბელადს შევწირო თავი?

ჩემ ღვთაებაზედ ავიღო ხელი? მი' დაკარგვას ცივად დავუხვდე?

არა და არა! დამანელა ვნებათა ღელვამ,

ვერ გავუძელი სიყვარულის დამდაგველ ალსა,

იელვა ხმალმა... ძირს დაეცა ხალხის ბელადი...

—

მოკვდა ბელადი, დაილუპა ხალხის იმედი... გული გავუპე ჩემის ხელით იმ კაცს, რომელიც ჩემსავით გრძნობდა, ჩემთან ერთად მტერსაც ებრძოდა, დიად ეროვნულ საქმისათვის ემზადებოდა!..

მოკვდა! მკვდარია! სისხლში სცურავს... თითქო მიყურებს, თითქო მიზიდავს, შერიგებას თვითონვე მითვლის!

თითქო მიმხვდარა ჩემ გულისთქმას და შეუგნია, რომ ჩემგან მისი მოკვლის მიზეზი თვითონვე გახდა, როდესაც ჩემი ღვთაებისკენ გადაიხედა და ჩემს ღვთაებას ახალ გრძნობით გული აუვსო...

მაგრამ... სად არის იგი ქალი, ჩემი ღვთაება? ის, ვის გულისთვის მე დავკარგე ერი, სამშობლო; ხელი ავიღე იმ საგანზედ, რომელიც მწამდა, ვისი გულისთვის დავივიწყე ყოველისფერი?

სად არის იგი? რას მწერს? რა აქვს მას მოსაწერი?

— „რაკი ცხოვრების საგნადა გაქვს ჩემი სიმშვიდედა თუ კი მართლა გინდა ჩემი ბედნიერება— გთხოვ დამივიწყო, გთხოვ მომშორდე, სხვაგან წახვიდე,გულში მოიკლა ჩემი ხსოვნა და სიყვარული!“

ა-ჰა! ეს არის შენი სიტყვა, შენი ნუგეში? ჩემ ძლიერ გრძნობის, სიყვარულის, მსხვერპლის პასუხი?

ეს არის ჯილდო? ო-ოჰ, ოცნებავ!

ჩემი სიცოცხლის ტკბილო იმედო!

სად გაჰქრი? რისთვის, რისთვის მოვკალ ჩემი მოქიშპე!..

გაჰქრი სიცოცხლევ!.. ტყუილ ოცნებით გულს ნუ მიწამლავ!

მოდი სიკვდილო! შენი ალერსით დამავიწყე ცხოვრების ტანჯვა და... მანუგეშე!

ამბი.

მწერლობის და ხელოვნების გარშემო

—

ახალი გაზეთი. ჩვენ მოგვვიდა პირველი № ახლად გამოსულის ყოველკვირეულის გაზეთისა „შრომა“, რომელიც დ. მესხის რედაქტორობით გიმოდის ქუთაისში. გაზეთი პროგრესიული მიმართუ-

ბედნიერი დედა და შვილი — ბატინელის ქანდაკი.

ლებისაა. პირველი ნომერი შინაარსიანია და საინტერესოთ შედგენილი... თუმცა ეტყობა, რომ გაზეთს უფრო სრულებით უცხო კაცი, ძალად მაცხონე მზრუნველი, რედაქტორობს, ვიდრე თვითონ რედაქტორი... ვინა სთქვა წინად, ცენზურა გაუქმებულია ჩვენში 17 ოქტ. მანიფესტის ძალითო?!

ახალი წიგნები: ქუთაისიდანვე მოგვივიდა შნოიანად გამოცემული წიგნი დიდებული ლევ ტოლსტოის დრამა „მეუფება წყვდიადისა“ ჩვენი ძველი ლიტერატორის მეველეს მიერ ნათარგმნი. წიგნი შეიცავს 136 გვ. და ღირს მხოლოდ ორი აბაზი.

იქიდანვე მივიღეთ ს. ხუნდაძეს საპოლემიკო წიგნაკი „მკვლელები და მცველები“, რამაც დიდი ალიაქოთი გამოიწვია ესდეკთა ბანაკში. ს. ხუნდაძე მოურიდებელის კილოთი ეკამათება ნ. ჟ., ყარიბს და სხვათა მათთანა ლიდერებს და ნიღაბს ხდის მათსა „საქმეთ საგმიროსა“. წიგნაკი კარგა მოზრდილია და ღირს ერთი შაური.

ახალი თეატრალური საზოგადოება. ქუთაისი იმერ საქართველოს ცენტრია, სადაც მწერლობასაც და ხელოვნებასაც შესაფერი ჭირისუფლები უნდა ჰყავდეს. იქაურს ინტელიგენციას განუზრახავს და უკვე სისრულეში მოუყვანია დიდი ხნის დანაკლისი—ქართული სცენის მოწესრიგება. დაუარსებიათ საზოგადოება, რომელიც განაგებს ქართულ თეატრის ბედ-იღბალს. ვუსურვებთ ახალს საზოგადოებას სრულ წარმატებას და გაჯერებას დეც, რომ საქმეს კარგათ წაიყვანენ. ჩვენის აზრით, ახალმა საზოგადოებამ უსათუოდ ქალაქის თეატრი უნდა აიღოს იჯარით და მხოლოდ მაშინ შესძლებენ საქმის ჯეროვანად წარმოებას და ნაყოფიერ მუშაობას.

ქართული წარმოდგენები: ძლივს აღირსეს ქართულ დრამას დღეები მორიგი წარმოდგენებისათვის. 7 თებ. ტ. აბაშიძეს საბენეფისოდ დადგმულმა ოპერეტამ „ნატვრის თვალმა“ დიდძალი საზოგადოება მიიწვია თეატრში ოპერეტკამ ჩინებულით ჩაიარა. შეუდარებელი იყო თვითონ მობენეფისე ბეტინას როლში. ახალგაზდა ლოტბარმა პ. ფალიაშვილმა საკმაო ფხა და უნარი გამოიჩინა ორკესტრის მართვაში.



ანდრომახა — რაშგრეხსის ნახატი.

ტროის დარბევის ამბავი, როცა ძველ ბერძნების ბელადმა პირრ-ნეოპტოლემ ანდრომახას წარტაცა ერთად ერთი შვილი გექტორი.

14 ამ თვეს დამსახურებულ არტისტ ქალის ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ წარმოადგინეს ორი ახალი პიესა. განსვენებული ავ. ცაგარლისა „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“ და მხცოვანი დრამატურგის გ. სუნდუკიანცის „აბანოს ბოლჩა“. ორთავე პიესა საუცხოვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგენი ჩირიკოვი
დრამატურგი და მწერალი (ავტ. „ებრაელებისა“).



ჰერგარტ ჰაუპტმანი
ერთი საუკეთესო დრამატურული მსოფლიო მწერლობაში.

იყო წარმოდგენილი და ხალხიც ნასიამოვნები დარჩა.

იუბილეი ქართულ სცენის ბურჯების. ნ. გაბუნია-ცაგარლის 25 წლისა და კ. ყიფიანის 35 წლ. იუბილეი გაიმართება დამდეგ სეზონში ახლად გადაკეთებულ ქართულ თეატრში.

ახალი რეჟისორი. დამდეგ სეზონისთვის ქართულ თეატრის რეჟისორად მოწვეულია ნაფიცი ვექილი ალ. ყანჩაველი, რომელიც ეჭვი არ არის ღირსეულად გაუძღვება ჩვენს ხელოვნებას, რადგან მაგისთვის ცოდნაც შესწევს და განვითარებაც.

ი. ნიკოლაძე. პარიზიდან ჩამოვიდა ჩვენი ახალგაზრდა მხატვარი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, რომელიც გამოჩენილ როდენთან მუშაობდა. ნიკოლაძესთან უკვე მოლაპარაკება გამართეს ი. ჭავჭავაძის ძეგლის შესახებ და აგრეთვე ქართული თეატრისათვის ზოგიერთ მოღვაწეთა ქანდაკების შესაკვეთად, რომელნიც თეატრის ფოიეში დაიდგმებიან.

ი. აბაშიძე. ამ დღეებში საზღვარ-გარეთიდან ჩამოვიდა ახალგაზდა მემუსიკე (ვილიონჩელი) ი. აბაშიძე, რომელმაც სამი წელიწადი დაჰყო საზღვარ გარეთ სხვა და სხვა წარჩინებულ პროფესორებთან თავის ხელოვნების შესასწავლად. აბაშიძე ამ ცოტახანში გამართავს კონცერტს.

„ებრაელები“ ქართულ სცენაზე. ამ თვის 21 სახაზინო თეატრში წარმოდგენილი იქნება ევ. ჩირიკოვის ცნობილი პიესა „ებრაელები“, რომელიც თითქმის ათი წელიწადი აკრძალულ იყო რუსეთში, ხოლო ცნობილმა არტისტმა არლენევმა ამ პიესით მოიარა მთელი ევროპა და ამერიკა და ყველგან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ელეონერა დუზე
შესანიშნავი დრამატიურული არტისტი-ქალი.

„ცენტრის“ ცეტებს
(მიბაძვა.)

—

სამეფოვო ძველთა ძველო,
დღეს სნეულო, გულის მწველო,
სხვის სახლ-კარის მოერთგულევ,
საკუთარის გადამწველო!..
სხვას ყანები უბიბინებს,
შენ აღარ გაქვს არცა მდელო,
და შენ ამას რად არ ჰფიქრობ,
შენი თავის დამღუპველო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითომ შენდა სამფარველოდ
ავარჩიედ შენნი ძენი
და გავგზანეთ „პარლამენტში“
რომ ახალ დროს ულონ ბჭენი;
ამით გვსურდა ნათელ გვეყო
ჩვენ ცხოვრების ბნელნი დღენი,
მაგრამ იმათ შეეყარათ
გზაში, მარქსის შავი სენი
და გონება დაკარგულებს
დაავიწყდათ დედის ხსენი!...
როცა „დუმას“ მიახლოვდნენ
გაუდიდდათ ნდომის ჟინი...
ცენტრალიზმში მოიპოვეს
ესდეკური რჯული... ღდინი..,
ცენტრის ეშხით დაბარბაცდნენ,
გაეყინათ თავში ტვინი
და ერთ ხმაზე დაღიღინდნენ
ისინი და ტიმოშკინი!

ჰორაციო.

პეტარდები

(კვირიდან-კვირამდე)

—:—

✦ ქართულ გემნაზიაში და სემინარიაში მოსწავლე ზოგიერთ ახალგაზრდობას, ამას წინად, შეერთებული მიტინგი გაუმართავს და »გამოუმუშავებიათ«*) წარუდგინონ თავიანთ მასწავლებლებს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) დაკანონდეს, რომ მეცადინეობა სასწავლებლებში გრძელდებოდეს ყოველდღიურათ არა უმეტეს $1\frac{1}{2}$—2 საათისა; 2) გაკვეთილების დროს შემოღებულ იქმნეს (განსაკუთ. ქართ. გიმ.) სრული თავისუფლება შამათობისა, ლანძღვისა, თამბაქოს წევისა და მასწავლებლებისადმი უდიერად მოპყრობისა; 3) სრულებით გაუქმდეს გაკვეთილების სახლში მომზადება და სასწავლებლებშიდაც, მეცადინეობის დროს, შაგირდებმა რომ არ მოიწყინონ, დეევალოს მასწავლებლებს, რომ დრო და დრო მოსწავლენი „პროეექტორით“ გაართონ ხოლმე; 4) აღიკრძალოს ზოგიერთ საგნების სწავლება და სამაგიეროთ შემოღებულ იქმნას (ეს მუხლი წამოუყენებიათ მგონი გიმნაზიელებს **) მუშტი-კრივის და სმა-ქეიფის პრაქტიკული გაკვეთილები; 5) რადგანაც მოსწავლეებს ხშირათ ღამეობით, დიდი ხნით უხდებათ ხოლმე „ბულვარზედ“ და სხვა და სხვა გასართობ ადგილებში სეირნობა, ყველას ნება უნდა მიეცეს მაშინ მოვიდენ გაკვეთილზე, როცა ძილით კარქათ „გამოიშუშება“ და მოისურვებს; ან თუ ნაქეიფარია და გუნებაზედ ვერ არის, შეეძლოს სულაც არ წავიდეს სასწავლებელში.

✦ თბილ. ვაჟთა მეორე გიმ. მოსწავლე. ახალგაზრდობა, თურმე ქართულს გაურბს. ნამეტნავად არ სწავლობენ შვილები იმ პირთა, ვინც ჩვენ დალოკილ-და გულკეთილ ქვეყანაში „საზოგადო მოღვაწის“ და „ეროვნელის“ ზედმეტ სახელით არიან ცნობილნი.

— რა თავში იხლი ქართულს—ეუბნებოდა თურმე ესრეთი „მშობელი“ შვილს—ჩინ-მენდლების დამსახურებაში არ გამოგადგება და ისე კი... ჩემ მიერ მოპოებული „სახელიც ბეყოფაო.

ცოტას კიდევ დავაცდით იმ იმედით, რომ აღნიშნული პირები შეიგნებენ თავიანთ საქციელს, რაიც ცუდ გავლენას ახდენს დანარჩენ მოსწავლეებზედაც და შემდეგ კი—ვაპირებთ სათითაოდ დავასახელოთ და დავახატინოთ ეს მცონარა „მშობლები“, რომ შთამომავლობას არ დაეკარგოს მათი „ფათრეთები.“

✦ გაზ. „აზრი“ იტყობინება, რომ „18 თებერვალს თბილისის სამ. პალ. წოდ. წარმ. მონაწილეობით, **დახურულ კარებში** (სიცივის გამო თუ!) და გაღებულ ფანჯრებში, გაარჩევს ყოფილ „ლამპრის“ რედაქტორის საქმეს“. გაზ. «აზრი» იმას კი აღარ იტყობინება, აღნიშნულ საქმეს გაარჩევენ ხალხის თანადასწრებით, თუ დაუსწრებლად.

✦ პეტერბურგის ქართველ ინტელიგენტთა და სტუდენტთა ერთ წმეს გადაუწყვეტია გადაიხვეწოს ამომავალ მზის (ჩინეთის) სახელმწიფოში და იქ გამოსცეს ყოველთვიური ქართული ჟურნალი „ამომავალი მზე“.

მართლაც რომ ჩინებული მოსაზრებაა: რაც შორს იქნება კაცი რუსეთში (და განსაკუთრებით საქართველოში) არსებულ პირობებისგან—მით უკეთესია. ტყუილად კი არ უთქვამს მოლლას: „უხრიკავ საქმეს, სახრიკავად ნუ გაიხდიო“.

✦ როგორც ხმა დადის, ის **ახალგაზრდა გურულები**, რომლებიც გურიის „დამშვიდების“ დროს დაიხოცნენ, სამხედრო ბეგარისგან გაუმთავისუფლებიათ.

✦ იქიდგანვე იტყობინებიან, რომ სამუდამოთ უკვდავი ჰყონ სეხელი ზოგიერთ იქ ყოფილ გენ.-გუბერნატორობისა. **გურულებს ერთხმად გადაუწყვეტიათ:** შესაფერი შუამდგომლობა აღძრან, სადაც ჯერ არს, რომ ნება დერთოთ ყოფილ გუბერნატორების სახელობაზედ დაარსონ თავშესაფარი ოზურგეთში იმ ქვრივ-ობოლთა და აწითკებულთათვის, რომლებიც გურიის „დამშვიდების დროს“ დაზარალდნენ.

✦ თელავში ბ. ივ. როსტომაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ერთი-ერთ დამღუპელ.... უკაცრავად, დამხმარებელ კასების წარმომადგენელთა კრება, რომელთაც სურდათ დაეარსებინათ მთელი იქ არსებულ კისების შემაერთებელი კიდევ ერთი „დედა-კასსა“. ეს რომ შეუტყვია ადგილობრივ მკვიდრთ, რომლებიც ისრედაც თავიან-ფეხებიანათ არიან გაბმული იქ არსებულ ურიცხვ კასების ქსელში *) თურმე „არ გვინდა, არ გვინდას“ ძახილით, საჩქაროთ ჰკრავენ ბარგ-ბარხანას და ფაცი-ფუცით ათასობით ეიზნებიან.

— იმიტომ თუ გაძვირდა თბილისშიაც სანოვაგე!..

✦ სამესხეთოდგან იტყობინებიან, რომ სოფ. ზველის მღვდელს და სოფ. ერკოტის მასწავლებელს, საეკლესიო სკოლასთან გაუმართავთ მოზრდილთათვისაც „მასაჟის“ (დაზელვის) კურსები. მაგრამ, რადგანაც ადგილობრივ დამშეულ გლეხობას მასაჟებისთვის არა სცხელა და არც საჭიროებს,—თურმე მისდგომიან ეს „სოფლის განმათლებელნი“ ერთმანეთს და ზელავენ და ზელავენ...

---

*) ეს სიტყვა, ღვთის წინაშე, ნასესხებია.

**) მკითხველო, ყური აქეთ მოიღე! იქ მოსწავლეთა უმრავლესობა კეთილ-წოდების ჩამომავლები არიან და ხომ მოგეხსენებათ: „კვიციო...“.

*) განცხრომაში მყოფ, ცნობილ სტატისტიკოს, ბ. ბოგიჩაშვილის გამოკვლევით, თითო თელაველ მკვიდრზედ მოდის თურმე სამი კასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

✦ მატერიალურად მეტად შეგიწროებული **ახალციხის სახალხო ბიბლეოთეკა-სამკითხველო** გამდიდრებულა შემდეგ ძვირფასიან და უხვ შემოწირულებებით: ადგილობრივ მსხვილ მემაიულეს ბ. ორბელიანს შეუწირავს, მისს წინაპრების მიერ დარჩენილ ქაღალდებში აღმოჩენილი, ასლი ენუქას ანდერძისა და აგრეთვე არა ნაკლებ შეძლებულ ექიმ ბ. გამრეკელს—მთელი ერთი ურემი.... ძველი რეცეპტებისა. ადგილობრივი სამღვდელოებაც თავის მხრივ დაჰპირებია, რომ ნაწილის ამოღების დროს მოვიხსენიებთო.

✦ რუსეთის გაზეთებში ვკითხულობთ, რომ საზოგადოებას ძალიან მოსწონს და მრავალჯერ წარმოდგენილ იქმნა შემდეგი **ახალი დრამატიული ნაწარმოები:**

«წმ. ბართლომეს ღამე»—ოპერა ექვს მოქმედებად და 60 სურათად, მუსიკა ტრეპოვისა; მონაწილეობას იღებენ: 1) ცნობილნი ღენერლები დამსჯელ ექსპედიციების უფროსები; 2) „კონსტიტუცია“, ოდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილ. სახალხო „უნივერსიტეტში.



ლექციაა ცივი, დარბაზშიც ეინვა,
ტანი კანკალებს, ცხვირი წითლდება,
აქ არამც თუ ჩვენ, თვითონ ლექტორსაც,
გოგრაში ტვინი გაეყინება!

ლებს რათ დაიქირავებდნენ?

— მე გული გამისკდა, არითმეტიკული ამოცანა არ მომცე მეთქი.

— რა გამოცანა, რას ლაპარაკობ?

— მე მეგონა მეტყოდი, თუ ამდენი კაცი ალაპარაკდა, გამოიცანი—ვის რამდენი შეხვედრიაო.

—

ესდეკები მოსთქვამენ:

— ვაი, ჩვენი ბრალიც, რა დღე გაგვითენდა. ბარემ დაქცეულიყო ჩვენი ქვეყანა, ამ დღის მოსწრებას ის არ გვერჩივნა? პროფესიონალური კავშირები გვერღვევა, მუშები ნაჭრობით მუშაობას კისრულობენ, გუშინდელი ჩვენი „აფხანაკები“ დღეს ჯაშუშობენ და ძმებსა ჰღუპავენ. რაღაა ჩვენი ცხოვრება, ბარემ გასკდეს დედამიწა და შთანთქას მთელი ქვეყნიერება ის გვირჩევნია... (თავში შემოიკრავენ) ვაი, ვაი, ვაი!

მეგობრები. თქვე დალოცვილებო, ბანქოს ხუხულები რომ ააშენეთ, არ იცოდთ, რომ მალე დაგეფუშებოდათ? მიჰყევით და ვინც კი შეგხვდათ ყველას პარტიაში უკარით თავი, ასე გეგონათ, თუ ბევრნი ვიქნებით, ძალაც და სამართალიც ჩვენ მხარეს იქნებაო. თქვენთვის რომ კაცს ეკითხნა, მექარხნეც ესდეკი იყო, ვაჭარიც, ხაზეინიც და ასე გაშინჯეთ დიდი მთავრის მოურავიც კი, ეს უკანასკნელი ხომ თავმჯდომარეთაც ამოერჩიათ ბორჯომში. ბევრს რა ჭკუა აქვს-ცხვრის ფარა გინდა ასი ცხვრისაგან შესდგებოდეს, გინდა ათასისგან, მაინც ცხვრის ფარა იქნება.

—

— აბა უყურე სად გასჭრა, შვილო, ღვთის სამართალმა! ცისკრის სარედაქციო კომისიამ ნაციონალიზმის შესახებ წერილებს ტუჩი აუკრა და „ჟინის“ რედაქცია კი რობორ აქებს და ადიდებს ამ წერილებს. აი, სად იჩინა, შვილო ღვთის სამართალმა თავი. ღმერთი არასოდეს არ დაჰკარგავს შვილო, თავის განაჩენს!..

— მერე გინახავს, პაპ.ჩემო, ისეთი ყვავი, რომელსაც თავისი ბახალები არ მოსწონდეს?

— ჰმ!.. მაშ ეგრეა საქმე?

ვანო.

დაცდილია, რომ ქუთაისში

— კაი გაზაფხულის ბრწყინვალე დღე ნახო—მეორე დღეს მათრახი მოგხვდება.

— კრებაზე იყო და რეჩებს ამბობდე—უთუოდ ციხეში გატუცვინებენ თავს.

— მიწას რომ ჭამდე—ჩვენებური გლეხი შეგხვდება.

— მღვდელი ნახო—ტირილში იქმნება თუ ლხინში, ერთს რჯულზე გამოძღები.

— ექიმი ნახო—მეორე დღეს სულ კუბოებს შეხვდები.

— დესეტნიკი, ან სტრაჟნიკი ნახო—მეორე დღეს „უსაშველოდ გაგაცივებს.

— დიდი ჩინოვნიკი ნახო — ყვავილ-ბატონები შეგხვდება.

— წითელი რაზმელები—ვინმე გიჯაშუშებს.

— ეჭსპროპრიატორი—ფულს მიიღებ.

— „უჩენიკები“ გეხვეოდნენ—მეორე დღეს დიდი სმა და ლხინი შეგხვდება.

— „პრიკაზჩიკები“ გეხვეოდნენ—მოთხოვნილებათა წერაში დააღამებ მეორე დღეს.

— ქუთაისის „უპრავა“ ნახო—პურისა და ხორცის ძებნაში დააღამებ და საღამოს გაწანწალებული მშიერი თავპირ დამტვრეული და ტალახში ამოსვრილი დაბრუნდებიშინ.

— „სადეპუტატო სობრანიე“—სტიპენდიას მიიღებ.

— ეჭრები ნახო—მეორე დღეს „ზაბასტოვკა“ მოხდება.

— კლუბი ნახო—„სტარშინათ“ აგირჩევენ.

— „ადვოკატი“ ნახო—ვიღაცა მოგბატყუებს.

— ჩვენი ბანკი ნახო—ფულს მიიღებ და პეტერბურგს წახვალ.

— ქართული წარმოდგენა ნახო—მეორე ღღეს ძილს ველარ წაართმევ თავს.

— „უჩიტლები“ ნახო—მეორე დღეს ვინმე მოგბრიგავს.

— ზოგიერთი ჩვენებური სოც.-დემ. ნახო—მეორე დღეს ისეთ რაღაცაში ჩავარდები, რომ სულ აამყრალებ იქაურობას.

— ესერი ნახო—მესერზე ჩამოეხევი.

— ანარქისტი ნახო—ანტექრისტე გამოგეცხადება.

— ესფერი ნახო—მეორე დღეს ეროვნულ-კულტურულ-ტერიტორიულ ავტონომიას მიიღებ.

— პეტიცია რომ მოგეჩვენოს — მეორე დღეს თავადაზნაურობის კრებას დაესწრები.

— მატარებლების დაჯახება ნახო—მეორე დღეს ინჟენერებს შეხვდები.

— ქართულ გაზეთს რომ კითხულებდე—ვინმე უშვერის სიტყვით გაგლანძღავს.

თომა პუსა.

სიმღერა*)

ივანუშკა, გენაცვალე, ეგრეიარეო,
რაც სპარსელმა აკლო ქართველს შენ შეუსრულეო.
მიწა-წყალი სულ წაართვი, გააძვალტყავეო,
მაღლა აღარ აახედო, მონად გახადეო.

(*იხილე გაზეთ „აზრის“ მოწინავე წერილები: „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაცა ჰქონდათ წვით და დაგვით შენაძინებიო,
ეროვნული ცდით, ცხოვრებით შენათვისებიო.
ხელოვნება სწავლა, ცოდნა, ან და სხვა რამეო,
ყველა ესენი დაუხშე, წყალს გაატანეო.
ეკლესიის მა²ულები ხომ გადალახეო,
სადაც განძი რამა ჰქონდათ გაანიავეო.
„აფხანიკო“ განა არ ვგრძნობ, რაც მოიქმედეო,
მაგრამ როგორ არ უნდა ვთქვა, შენი ჭირიმეო.
ჩვენს კუთხეში განათლება შენ შეიტანეო,
პროგრესული აზრები მხოლოდ შენ ჩარგეო.
ისევ მე თუ გაგამართლებ, ჩემო ტურფა მზეო,
„ესდეკთ“ გარდა ვინ გიმადლის აბა შეხედეო.
ასე ჩემო, ცუგრუმელა, კვალად იმძლავრეო,
ისტორიას მე დაგიწერ, არ დაგავიწყდეო.

დროებით ბათუმელი.

ზედ ცხვირზედ დაჰკვეხებია,
მაგრამ ვერ ხედავს, ბეცია,
თუ განგებ ხუჭავს თვალებსა,
ნამდვილად ბასატკეცია!..

პროვინცია.

სურამი (აქაური რამე-რუმე). ჩვენს ძველ სურამზე ზაფხულობით თუ იტყვიან რასმე, თორემ ზამთარში აბა ვის გაახსენდება. მე კი, როგორც გამოცდილი მეთვალყურე, ბევრი რამ ვნახე სახელდახელო.

სადგურზე სამი სალდათი და შემჩხავრებული იაგორ ადამიხვდა, ესენი ღებულობენ და ისტუმრებენ მატარებელს.

მართალი, ფოსტაში წერილებს არ ხსნიან და არც კითხულობენ, მაგრამ შინაარსი კიჩინოვნიკიდგან მოყოლებული—ფოსტალიონამდე ყველამ იცის.

თუ გინდა მოსვენებით იძინო, ე. ი. გრამაფონის ჭყიპინმა რომ არ შეგაწუხოს, და ბილიარდზე „ოჩერედის“ ჩხუბმა—მობძანდით ნოდიას სასტუმროში: არც ხმაურობა, არც ბალლინჯო, არც „პასაჟირი“—ყველაფერი თავის ალაგზედაა.

როტონდაც ქე დგას თავ-ს ადგილას, რომლის კუთხეში ბევრს ახსოვს სხვა და სხვა საალერსო ჰანგები და დამატკბობელი ხვევნა-კოცნა.

„ბალნიცა“—არა, უკაცრავად,—სალდათობისგან განმათავისუფლებელი ბიურო,—ახლაც არის; ვანოსან მოდი და მან იცის...

ახალი აქ მხოლოდ გრაფიტის შახტებია, დალოცვილები, ეს ორი ხაზეინი ისე ატრიალებენ ამ უზარ-მაზარ საქმეს, რომ არც ერთი მუშა არ სჭირდებათ...

ჩვენში დარჩეს და შინაურულად რომ ვსთქვათ ძაან დეისვენა ჩვენმა კუთხემ „ჰიტუშას“ შემდეგ.

როგორც ამბობენ შესდგა ჯგუფი ახალგაზდებისა, რომელნიც ზაფხულში წარმოდგენის მართვას მიყოფენ ხელს; მფარველს ეძებენ დრამატიულ საზოგადოების, ა'ე რომ ზაფხულში არტისტები აქ ვერ ჩამობედვენ...

ჩვენი სურამი ქალების გასათხოვი ბირჟაა. აქ თუ ქალი ვერ გასაღდა, მერე „პროშჩაი“!..

მოგზაური ბიჭი-ბიჭი

სულით და გულით ეძღვნას ეშმაკს.

(ჩემდამი მომართულ საახალწლო მოლოცვის გამო—ყორდანია-ზე ლექსის შესახებ.—ნიშ. №19.

—

მართალი ვთქვი, არ გიამა
თქვენ ლიდერის საქმე ცუდი,
თუ ნოორი არ გეჭ ma
რათ დაგეწო გრძელი კუდი.

—

ყველა ეშმაკს, ავი საქმე
ურჩევნია სულსა გულსა,
ეშმაკი ხარ, და არც შენ გრძნობ
შენ ცუდ საქმეს, წაგებულსა.

—

თუ მართლა შენ სასწაულსა
ბებია შენიც ელოდდა,
მაშ იგრძნობდა შენ ტყუილსა,
რომ მისი შვილი გველობდა.

—

მაგით ხალხის ერთგულიც ხარ
რომ ცხოვრებას უფრო ახდენ,
რა ჯანდაბის ეშმაკი ხარ
თუ სასწაულს ვერ მოახდენ.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შენ ეშმაკ დამქაშებით
ხალხსა მით ემსახურები,
რომ შენ ცრუ-ჭორ იმედებით
გამოუჭედო ყურები.

—

მაგით შენ ხალხს მუშაკთა
არას დროს გამოადგები...
მეც ვამბობ და ყველაც ამბობს,
რომ ძალლივით იყეფები.

—

მარქმევ კიდეც უბედურსა,
შე კუდიან—ბედიანო,
მით შენ მათრახს შენვე გირტყამ,
შე საწყალო ბნედიანო.

—

ჯადობაზო, ოინბაზო,
მყრალო დევო, ეყნუსარავ,
ხან მეჩექმევ, მატრაბაზო,
თბილისის ცირკის მასხარავ!

—

იპრანჭები, იჭყანები—
დღეს გიძღება მაგით კუჭი,
მაგრამ ვინც გცნობს, ის კარგათ გრძნობს
რასაც ელტვის შენი ნიჭი.

უჩინარიძე.

გ ა ბ ო ლ ო ბ ა

—

ერთს შეძლებულ კაცს ძალიან ნიჭიერი შვილი ჰყავდა, კარგათა სწავლობდა და ტოლ-ამხანაგებში პირველი იყო. ბევრსა ჰფიქრობდა ამისი მაამა, თუ ჩემი შვილი რა იქნებაო, რა გამოვა მაგისაგანაო? ბოლოს გაუელვა თავში ერთმა აზრმა და გამოსცადა თავისი შვილი. შვილის საწერ მაგიდაზე დაალაგა: დაბადების წიგნი, ერთი ოქრო და ერთი ბოთლი ღვინო. თუ წიგნს აიღებს—მღვდელი იქმნება, თუ ოქროს აიღებს—ვაჭარი და თუ ღვინოს დალევს ლოთი გახდება ეს ჩემი არამზადაო.

მოვიდა შვილი, შეჰხედა სტოლს და სწრაფად იკრა ჯიბეში ოქრო, დაავლო ხელი დაბადების წიგნს და ბოთლი ღვინო იქვე გამოშუშა.

— ჰმ! პოლიტიკოსი იქმნება ჩემი შვილიო,— გადასწყვიტა გუნებაში შეძლებულმა კაცმა.

პუტრიკა.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(გურულებისთვის)

—

ოზურგეთში შპიკათ არის ჩვენი ნესტორ
წვერ-ცამეტი,
თუ ღმერთი გწამთ, მას ამოსცხეთ „ნიშადურის“
ცხარე წვეთი.

—

უჭკუო, ოთხ თვალიანი, ქარაფშუტა-ქარიანი,
უზომოდ ქრთამის ამღები, უზნეო ადამიანი...

—

დიმიტროსთან ხშირად დადის, ბერიკაცი აბ
დალიო,
მრუდე იყო იმ თავითვე, ეს ახალი არ არიო!

—

არც წვიმს, არც თოვს, არც დარია—სირი-
ეი აბდალია,
ტოლმაჩევი რომ წავიდა, მისი საქმე წამხდარია.

—

ეს რა ჩიტი მოფრენილა, საიდან და სადაური,
მსუნაგი და ყურებ გრძელი, არშიყია უცნაური!
ვიცნობ, ვიცნობ, მაგ ვირთაგვას, მათხუჯიესში გა-
ნთქმული...
ეხლა ეშმაკსა სწვევია უსირცხვილო, სულწასული...
გირჩევნია პატიოსნათ გაისარჯე, ვანიაო,
თორემ ძვირათ დაგიჯდება, რაცა ჯღაბნე ძამიაო.

დ—შვილი.

—:—

(ცხინვალელებს)

გაბერილა ტიკისავით
გრძელი კაბაც ჩაუცვამსო,
დიაცები საარშიყოთ
მას ტრაპეზში დაუსვამსო.
ნუნუათი იყლენთება,
დაფარფატებს კარი-კარა,
უნამუსომ ბევრს ოჯახი
წაუბილწა,—გაუმწარა!..
არ დაუთმო მისმა სამწყსომ
ბევრჯერ კეტით შეაშინა
რამდერჯერმეც დაბეჭილი
სარეცელზედ მიაწვინა.

ნელი.

—:—

ექიმბაშათ უვარგისობს,
არც უვარგა კალმის წვერი,
მაგრამ რაღაც მანქანებით,
მაინც გახდა კამერგერი.

—

ერთხელ წინამძღვარიც იყო,
თუმც არ იყო შესაფერი.
„დრო მეფობსო“ რომ იტყვიან,
ისიც გახდა კამერგერი.

—

არ დაეძებს მოძმის წყლულებს,
ვისთან რა აქვს შესაფერი,
თავის კუჭი მაძღარი აქვს,
არ ენაღვლის არაფერი.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმაცერად შემოგყურებს,
როგორც დედინაცვალს გერი.
არც სცალია არავისთვის,
არ სწუხდება კამერგერი.

—

ოქრო-ვერცხლის ორმოში ზის,
თავს ეყრება როგორც ქერი.
ქუთაისის „კრეზი“ გახლავს
ეს ბურჟუა კამერგერი. .

ბომბა.

—:—

ბაზარნიკათ ნამყოფი ეხლა ბოქაულია,
დეკემბრის პაგრომებში ძალზე გამოწრთვნილია.
ანგელოზის ენა აქვს პირში ტკბილ-მოუბარი,
თილისმობს და გარწმუნებს—შენია მეგობარი.
ქუდსა გვერდზე იხურავს, კისერ მოღუნულია.
წვერ ულვაში მოწითლო, თეთრ გამორეულია.

კვანწარახი.

ბალაგანი და სალახნოგა.

(სცენის მოყვარეთა საყურადღებოთ.)

—

გასულ წელს, ავლაბრის თეატრში, ავეტიქ მუტრუკოვის საბენეფისოდ წარმოადგინეს „ოტელო“, (კომ. ფარსი 3 მოქმ.) შუქსპირიჩისა, გადმოკ. ავლაბრელის მიერ. პატივცემული საზოგადოება საკმარისად დაესწრო, თუმცა აქა-იქ გაიგონებდით პაწია ბიჭებისგნით: „იმტერესნი ტელეგრამა“„ ჰოპ-ჰოპ“ და სხვა. მაგრამ ეს ჩვეულებრივი მუსიკაა! ლაყბობა და ლაზღანდარაობა სრულიადაც ხელს არ უშლიდა წარმოდგენას. ხალხი დაკმაყოფილებული და ნასიამოვნები დაბრუნდა. სიცილისგან ყველას მუცლები ასტკივდათ. კარგი იყო „ოტელო“ კარაპეტას როლში თვით მობენეფისე ავეტიქ მუტრუკოვი. განსაკუთრებით საუცხოოთ ჩააატარა უკანასკნელი სცენა, „როლში“ შევიდა და ფანჯრები და სცენის მოწყობილობა სულ ერთიან მილეწ-მოლეწა. პატივცემულმა საზოგადოებამაც უხვად დააჯილდოვა მობენეფისეს ხელოვნება და ლაყ კვერცხებით და დამპალ „პამიდორებით“ გაუმასპინძლდა. ვერ მოექცა ლმობიერათ თეატრის პატრონი: შემოსავალი რაკი არ იყო, ბ-ნ მობენეფისე ავეტიქ მუტრუკოვს წაღები და შალვარი გახადეს. მობენეფისე ყოველ შემთხვევისთვის იმით მაინც კმაყოფილ უნდა დარჩენილიყო, რომ საჩუქრად გოჭის თავფეხი მიართვეს და ზედ წიწაკის თაიგულიც დააყოლეს.

გრი—გრი.

განცხადებანი

—:—

საუკეთესო ქატოს **მახოხი, „რაზნი მარინად“, ზარბაბის ლობიო** და მრავალ გვარი სიმჟავენი. ისყიდება იაფად და პირიანათ. ადრესი: **მუავე ქართველ ესდეკის თავი.** უმთავრესი საწყობი: ქ. თბილისი, „აზრის“ რედაქციაში.

—

ორი თუთიყუში.

ლაპარაკობენ კლაპიტონის ენით. ადრესი: „კუჭის“ სინემოტოგრაფი. ამხან. **„ეშმაკი“ და „ ნი“.** მონოპოლია აღებული გვაქვს. „პოდლოლი“ სასტიკად იდევნება „კანონის“ ძალით. ადგილების ფასი დაკლებულია.

—

საუკეთესო მუშტი

შევიძინეთ „წერა-კითხვის საზოგადოების“ მომავალ კრებისთვის. მსურველთ შეუძლიანთ იხილონ იქვე. **ამხ. ეს-დე და ყლაპანია.**

—

გულკეთილი ბოქაული

გორის მაზრის მემამულე კნიაზებს ახლო მომავალში დაუგზავნის გლეხების **ტყავებს და ძვლებს,** ტყავები საქურქეთ, ძვლები ბრელოკებათ, სააღდგომო ბალ-მასკარადისთვის.

—

საქართველოს ისტორია

შედგენილი და გამოცემული საქართველოს ისტორიის ზედმიწევნით მცოდნე ქართველ ნაციონალ ისტთა პარტიას მიერ. ჩვენი ისტორია პირველ გვერდიდანვე იწყება ასე: „ჩ. ყ. პ. წელსა, როდესაც საფრანგეთი საქართველოს პროვინციას შეადგენდა, როდესაც ინგლისმა ქართველთა მეფე ასლანს მორჩილება გამოუცხადა და გერმანეთი ხარჯს გვაძლევდა... და სხვა. . და სხვა... ადრესი: ქალაქი მცხეთა, რომელიც მდებარეობს მდინარე გვადალკვივირის პირას, პროვინცია ამერიკაში. უმთავრესი საწყობი უფლისციხის აკლდამები, ავსტრიაში.

—

ვისაც სურს

მოისმინოს ჩვილთა ყრმათა ხმოვანება, მობრძანდნენ **ქ. თელავში** „საკვირველ კაცის და ჯიბის აკუშორის“ **იოვანეს ბინაზე. ოცსულ ქალთა კრებაზე.** სეანსი ყოველ დღე.

ხუხუნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპროპრიაცია

შენა სცარცვავ კაბინეტში,
მე კი გარეთ, შუა გზაზე,
თუ კარგია სხვის გაყვლეფა,
გამოსცადე აწ შენს თავზე!

ექსპროპრიაცია

ძვირფას ფარჩებში გამოწყობილი,
აღელვებული თვით პოეზიით,
ჯიბით მდიდარი აი, ამ ტყეში
ეძებდა სატრფოს იბი მრავალ გზით!
სიდანღაც გაჩნდა ექსპროპატორი,
მისი დარდია ოქრო ჩაბოჭოს,
ულიმის მსხვერპლი, მაგრამ ის შესდგა,
ვერ ეკარება ამ მახინჯ ჯოჯოს!

ხარბინის ოინები

(წერილი რედაქციისადმი)

ბატონო რედაქტორო! მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს ერთი მეტათ უცნაური ამბავი გაუწყოთ, რომლის გამოქვეყნებასაც გთხოვთ „ნიშადურის“ ფურცლებზე.

საქმე ის არის, რომ ამ ერთი თვის. წინად ხარბინიდგან კერძო წერილი მივიღე, რომელშიც მაცნობებდნენ, რომ ილიას ფონდისათვის გამართულ საღამოდან 500 მანეთამეე შემოვიდა და ეს ფულით თბილისში გაიგზავნაო.

დღე დღეზე ველოდდი გამოაცხადებდნენ თუ არა მიმღებნი ამ ფულის რაოდენობას და რომ არა იბეჭდებოდა რა გაზეთში, დავაპირე წერილი მიმეწერა ხარბინში, მაგრამ სწორედ „ისრის“ კვირის 33 ნომერში ამოვიკითხე ხარბინიდან გამოგზავნილი ფულის ამბავი. მაგრამ ნეტა სულაც არ ამომეკითხა! 500 მან. მაგიერ წერ. კითხვ. საზ. მიულია მხოდოდ 260 მან. და 40 კ.!

სადღაა დანარჩენი ფული?!?

საზოგადოთ, ხარბინის ფულებს „რაღაც ემართება“ და ეს „რაღაც“ ისეთის თვისებისაა, რომ დროა რამე ღონე ეღონოს მწერლობამ და ერთხელ სამუდამოთ ნათელი მოფინოს ამ „ბნელ საქმეს“...

იმედია, თქვენ ჩვსულებრივის გულახდილობით და მოურიდებლობით გამოააშკარავებთ „ხარბინის ოინებს“.

კონ-ძე.

რედაქციის შენიშვნა. ზემოდ მოყვანილი წერილი თავისთავად ბევრს რასმე საგულისხმოს გვაუწყებს და ჩვენი განმარტება ჯერხანად მეტია. სასურველია დაინტერესებულმა მხარემ—«წერ. კით. საზ. გამგეობამ» გამოაცხადოს, ვისგან, როდის და საიდან მიიღო ხსენებული 260 მ. 40 კ.?

ბრბოს

(ი. გომ—ის პიესა „ექიმთან“ და შთაბეჭდილება ქანდარაზე)

როდესაც ვხედავ უგუნურთა ბრბოს,
„მქუხარ“ სიტყვებით აღფრთოვანებულს,
და მის სიხარულს, „ვაშას“-ს ძახილსა,
მოუფიქრებელს, ძალდატანებულს.
მისივე ნაკლის—შეუგნებლობის—
მწარე დაცინვით გამოწვეულსა,
ჩემს გულსა ვკითხავ „რად არ ჰხედავენ
და არ ირჩენენ თავისსვე წყლულსა?“
მაშინ მძაგს მე ბრბო, გაუგებარი!
მაგრამ... არა! სულაც არა მძულს!
იგი სინათლეს მოკლებულია
და ვგრძნობ მისდამი მხლოდ სიბრალულს.

დემნა მროველი.

რედ--გამომცემელი **ვალერიან გუნია.**

ელექტრომბეჭდავი ამხ. „**სორაპანი**“ მადათოვის კუნძული სახლი მუხრანსკისა, № 1.